ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ანა კაკაბაძის, საქმიანობის წლიური ანგარიში (01.11.2022 - 31.10.2023)

შინაარსი

1. შინაარსი..... 2
2. საქმიანობა..... 3
3. ძირითადი მიმართულებები და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები 3
4. კომისიური საქმიანობა..... 4
5. გენდერული თანასწორობის საბჭო 13
6. სამუშაო შეხვედრები.....15
7. სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობაში ჩართულობა.....18
8. დამატებითი ინფორმაცია 21

1. შინაარსი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე'' - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა ამომრჩევლების წინაშე წელიწადში ერთხელ 1-ლ ნოემბრამდე წარადგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დოკუმენტი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს წევრის, ანა კაკაბაძის, მიერ 2022 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2023 წლის 31 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

2. საქმიანობა

კომისიის წევრი

1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წ. 3 დეკემბრიდან, სარევიზიო კომისიის წევრი.

2) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წ. 3 დეკემბრიდან, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

ფრაქციის წევრი

2021 წლის 3 დეკემბრიდან ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ის წევრი.

საბჭოს წევრი

2022 წლის 1 თებერვლიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

3. ძირითადი მიმართულებები და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

3.1) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში, კომისიებში და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობისა და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში (01.11.2022 - 31.10.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 (თექვსმეტი) სხდომა გაიმართა. შედეგად, ანა კაკაბაძის თანამონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია 778 გადაწყვეტილება. ანა კაკაბაძე (2022 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით) დაესწრო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 სხდომას.

3.2) საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა 1 833 083,6 ათას ლარს შეადგენს (დამტკიცებული 1 632 132 600 ლარი).

4. კომისიური საქმიანობა

სარევიზიო კომისია:

ანა კაკაბაძე (2022 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით) სარევიზიო კომისიას ჩატარებულ 12 (თორმეტი) სხდომას დაესწრო. კომისიამ მოცემულ საანგარიშო პერიოდში განიხილა 33 (ოცდაცამეტი) საკითხი. კოპმისიამ სხდომაზე მსჯელობის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შევიმუშა რეკომენდაციები.

საანგარიშო პერიოდში კომისიის საქმიანობის ფარგლებში განხილული საკითხები:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032230646-03, 02.11.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032230450-03. 31.10.2022წ.).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს N12-032231961-03.15.11.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით განხილვა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-03224849-03. 14.12.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს N12-032234375-03.09.12.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- ა(ა)იპ ქ.თბილისის №77-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

- ა(ა)იპ ქ.თბილისის №86-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

- ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო მასალების განხილვა;

- ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მერიის ა.მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2022 წლის 6 თვის (01.07.2022-31.12.2022წწ) მუშაობის ანგარიშის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-03230451-03. 14.02.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 დეკემბრიდან - 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- სსიპ „ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფლებამოსილებას მიკუთვნებული ტრანსპორტის მიმართულებით 2018 წლის 1 აგვისტოდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-0323074115-

03. 15.03.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (საკრებულოს:N12-032305945-03; 28.02.2023წ.) სარევიზიო კომისიის ანალიზი.

- ქალაქ თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2022 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიში.

- ქალაქ თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032313081-03.10.05.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ“ (საკრებულოს-N12-03231183-03. 28.04.2023წ).

- ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"-ს მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ “ქონების მართვის სააგენტო”-ს მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში (საკრებულოს - #06-03220396-03. 10.02.2022) ცნობის სახით;

- 2023 წელს დამტკიცებული, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში (საკრებულოს - #02-032308960-03. 30.03.2023) ცნობის სახით.

- ა(ა)იპ ქ.თბილისის №42-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის“ მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო მასალების განხილვა;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-0323179137-03. 28.06.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032320110-03. 20.07.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის (01.01.2023-01.07.2023წწ) მუშაობის ანგარიშის განხილვა.

- გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-03236258-03. 19.09.2023წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

- ააიპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“- ს მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

- ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია:

ანა კაკაბაძე (2022 წლის 1-ლი ნოემბრიდან - 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით) ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიას ჩატარებულ 14 (თოთხმეტ) სხდომას დაესწრო. კომისიამ მოცემულ საანგარიშო პერიოდში

განიხილა 25 (ოცდახუთი) საკითხი. კომისიამ სხდომაზე მსჯელობის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შევიმუშა რეკომენდაციები.

საანგარიშო პერიოდში კომისიის საქმიანობის ფარგლებში განხილული საკითხები:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2022 წლის ანგარიში

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

- „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ („აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“)

- „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-121დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ („შინმოვლის თანადაფინანსება“)

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ („ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი’’)

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ’’ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ’’

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაახალშობილთა სკრინინგი (სამუშაო შეხვედრა)

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

- „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

- ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოს 2023 წლის ანგარიში.

5. გენდერული თანასწორობის საბჭო

2022 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2 სხდომა, 4 სამუშაო შეხვედრა და არაერთი ღონისძიება/აქტივობა გაიმართა. სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე დღის წესრიგებით გათვალისწინებული 6 საკითხი განხილვა მოხდა. გურამ ოქროპირიძე დაესწრო 2 სხდომას და 2 სამუშაო შეხვედრას, განიხილა 4 საკითხი.

2023 წელს დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებსა და პრინციპებს. საბჭო, სამოქმედო გეგმის საფუძველზე უზრუნველყოფს: გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავებას, საფინანსო-ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის საკითხებში; გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას; ქალთა მიმართ ძალადობის, ან ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას; ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმართვას; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი ინიციატივების შემუშავებასა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის მხარდამჭერი საქმიანობის განხორციელებას; სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციას; გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სხვა.

საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიება/აქტივობა განხორციელდა, მათ შორის:

- „არა ქალზე ძალადობას“, „დუმილი გამოსავალი არ არის“, - ამ მოწოდებებითა და სხვადასხვა ღონისძიებებით შეუერთდა საბჭო ,,**გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიას**“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით;

- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ,,**პროგრამული ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საკითხებზე გამართულ ორდღიან ტრენინგზე**“, სადაც განიხილეს თემები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტირების პროცესის დახვეწასა და გაძლიერებას უჭერს მხარს;

- საბჭოს წევრებმა ,,**ვარშავის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლეს**“ და ვარშავის დელეგაციის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია გენდერული

მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. მხარეებმა ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

- მიმდინარე წელს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფს"-ის წარმომადგენლობა საქართველოში "მერსი ქორფს საქართველოს" შორის **გაფორმდა მემორანდუმი**, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობას.

- **,,ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის"** ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს, გენდერული თანასწორობის საბჭოსა სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლობით, არაერთი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ წლის განმავლობაში ინიცირებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია საინფორმაციო კამპანია **"შენი სიცოცხლე შენს ხელშია",** რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა გახლდათ.

- ოქტომბრის თვეში საბჭო ჩაერთო ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო კამპანიაში **„ვარდისფერი ოქტომბერი".** კამპანიის დასაწყისში, ონკოპაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, **თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო, ცოცხალი ჯაჭვი შეიკრა** საბჭოს წევრების, „ევროპა დონა საქართველოსა" და ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლების მიერ. ღონისძიებაზე დარიგდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ. ოქტომბრის დასაწყისში, თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ვარდისფრად განათდა. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის ლისის ტბის ტერიტორიაზე **,,ვარდისფერი მარათონი"** გაიმართა, სადაც ფეხითა და ველოსიპედით გარბენი მოეწყო. მარათონის პარალელურად, სკრინინგის შესახებ საინფორმაციო ბროშურები დარიგდა.

- საბჭოს ინიციატივით, დედაქალაქის საკრებულოში, **კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები** გაიმართა. რომელთა შორის აღსანიშნავია: ,,**მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება"**, ანა კალანდაძის ხსოვნისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო **„ანა პოეზიის დედოფალი",** მუსიკოს დინი ვირსალაძის დისკის **„Dreams come true" პრეზენტაცია და მისი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა.**

6. სამუშაო შეხვედრები

- ანა კაკაბაძემ 2022 წლის 9 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად ვარშავის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლა

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://cutt.ly/NwR8kVo7

- ანა კაკაბაძე 2022 წლის 14 ნოემბერს უსინათლოთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძესა და სხვა კომისიის წევრებთან ერთად საქართველოს უსინათლოთა კავშირს ეწვია.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://cutt.ly/7wR8xS20

- ანა კაკაბაძემ 2022 წლის 15 ნოემბერს დაესწრო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაციას, რომელსაც თბილისის მერი კახა კალაძე უძღვებოდა

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://shorturl.at/fnzO6

- 2022 წლის 29 ნოემბერს ანა კაკაბაძემ თბილისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად თბილისის კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღები პირები მოინახულა.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://shorturl.at/BEL35

- 2022 წლის 7 დეკემბერს საკრებულოში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა და მოზარდთა მშობლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელში კოლეგებთან ერთად ანა კაკაბძეც მონაწილეობდა.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://shorturl.at/bNSUY

- 2022 წლის 25 იანვარს ანა კაკაბაძემ თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძესთან ერთად, მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ცნობიერების ამაღლების თვესთან დაკავშირებით, სხვა კომისიის წევრებთან, საბურთალოს მაჟორიტარ წევრთან ავთანდილ ცინცაძესთან,

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან და საბურთალოს რაიონის გამგებელთან გაიოზ ვასაძესთან ერთად, ეროვნული სკრინინგ ცენტრის საბურთალოს ფილიალს ეწვია.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/u8u5yu

- 2023 წლის 7 აპრილს ანა კაკაბაძე კოლეგა საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებთან ერთად ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ამერიკულ ჰოსპიტალს ეწვია.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/fr1yyj

- 2023 წლის 27 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე ანა კაკაბაძესთან და სხვა კოლეგებთან ერთად „სტუდენტური ფესტივალი 2023“-ის დახურვის ღონისძიებას დაესწრო და სპორტის რამდენიმე სახეობაში ჩატარებულ შეჯიბრებებში გამარჯვებულები დააჯილდოვა.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/GsEpLE

- 2023 წლის 5-6 სექტემბერს ქალაქ ტეტოვოში გაიმართა კონფერენცია თემაზე - ''გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება'', რომელშიც მონაწილოება ქართულ დელეგაციასთან ერთად ანა კაკაბაძემაც მიიღო.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/atzfae

- 2023 წლის 19 სექტემბერს ანა კაკაბაძე, კოლეგა საკრებულოს წევრებთან ერთად სამგორის რაიონში, ვარკეთილში, მდებარე მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო. ცენტრი სრულად დააკმაყოფილებს ახალგაზრდების მოთხოვნებს, იქნება როგორც სპორტული ასევე საგანმანათლებლო და შემოქმედებითი სივრცეები.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/mYeAhp

- 2023 წლის 20 სექტემბერს თბილისის საკრებულოსა და საქართველოს ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანი სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება-

მოწყობის გზით საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა. აღნიშნულ ღონისძუებაში მონაწილეობას იღებდა ანა კაკაბაძე კოლეგა საკრებულოს წევრებთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/7SZz90

- 2023 წლის 6 ოქტომბერს თბილსის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, გურამ ოქროპირიძე საკრებულოს წევრებთან - ავთანდილ ცინცაძესთან, მარიამ ზაქარიაშვილთან და ანა კაკაბაძესთან ერთად, საქართველოს ახალი ოლიმპიური მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრო.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/SugYVh

- 2023 წლის 10 ოქტომბერს თბილისის საკრებულოში არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის პროცესის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი კალანდარიშვილმა გახსნეს. ღონისძიებას კოლეგა საკრებულოს წევრებთან ერთად ანა კაკაბაძეც ესწრებოდა.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/grmimW

- 2023 წლის 19 ოქტომბერს თბილისის მერის მრჩევლის გენდერის საკითხებში, ნინო ბურძენიძის, ინიციატივით საერთაშორისო კამპანია ,,ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში ვარკეთილის მედიათეკაში შეხვედრა გაიმართა. შეხვედერას ასებე ესწრებოდნენ ანა კაკაბაძე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა წევრები.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/f9J0TN

- 2023 წლის 25 ოქტომბერს კამპანიის „ვარდისფერი ოქტომბერი“ ფარგლებში თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად, ანა კაკაბაძე, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებს შეეხვდა.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/4NTKq3

7. სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობაში ჩართულობა

- **ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმი:**

  ფორუმი დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად, გახსნა, ღონისძიება სახელწოდებით - „მდგრადი ეკონომიკური აღდგენა“ თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ორგანიზებით იმართება და ის ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://bit.ly/3fraDwD

- **სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია**

  თბილისის საკრებულოში სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდა.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://cutt.ly/xwR8zn59

- **NX აკადემიის პროექტის დახურვის ცერემონია:**

  ანა კაკაბაძემ კოლეგა საკრებულოს წევრებთან ერთად, უმასპინძლა NX აკადემიის კურსდამთავრებულებს და საზეიმო ვითარებაში მონაწილეობა მიიღო პროექტის დახურვის ცერემონიაში.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://shorturl.at/lAKW2

- **შეხვედრა თურქეთის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩთან**

  თურქეთში, 6 თებერვალს მომხდარი მიწისძვრის შედეგად ათასობით ადამიანი გარდაიცვალა. ქართული ოცნების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებთან ერთად, ანა კაკაბაძემ კიდევ ერთხელ პატივ მიაგო დაღუპულთა ხსოვნას.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/dx9ao5

- **1921 წელს სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გმირების ხსოვნის დღე**

1921 წელს სამშობლოს დაცვისათვის, უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა. ჩვენი ვალია გვახსოვდეს ის ადამიანები რომლებმაც თავი გაწირეს ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ ქედს ვიხრით მებრძოლი გმირების წინაშე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/duqbes

- **"საქართველოს მშობელთა ასოციაცია ფენილკეტონურიისთვის -PKU Georgia" პრეზენტაცია**

24 თებერვალს - ორგანიზაცია "საქართველოს მშობელთა ასოციაცია ფენილკეტონურიისთვის -PKU Georgia" პრეზენტაცია გაიმართა, სადაც მშობლებმა ორგანიზაციის შექმნის იდეასა და მიზნებზე ისაუბრეს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/74knib

- **ოზურგეთში ქართული ოცნების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრა**

28 თებერვალს ოზურგეთში ქართული ოცნების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს შევხვდით. შეხვედრაზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებასა და დაგეგმილ პროექტებზე ვისაუბრეთ. განვიხილეთ ახალგაზრდების როლის გაძლიერების მნიშვნელობა, როგორც ადგილობრივ ისე ცენტრალურ დონეზე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/a0ywx2

- **ისწავლე და დასაქმდი**

დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ, საზოგადოებას პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის - „ისწავლე და დასაქმდი“ ანგარიში წარუდგინა. პროგრამის ფარგლებში, 2018 წლიდან დღემდე, 6 500 ადამიანი გადამზადდა, საიდანაც 70% დასაქმდა. 2023-2025 წლებში, პროგრამაში დაგეგმილია 10 000 მოქალაქის ჩართვა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/m7yz50

- **9 აპრილი**

ანა კაკაბაძე ქართული ოცნების ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებთან ერთად 9 აპრილის მემორიალზე იმყოფებოდა. შეკრებილმა საზოგადოებამ პატივი მიაგო მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს გმირულად დაღუპულთა ხსოვნას!

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/gvx5dq

- **გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო**

2023 წლის 12 ივლისს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავჯდომარე, პარლამენტის წევრ, ნინო წილოსანთან ერთად, საკრებულოს წარმომადგენლებს ქალთა ლიგის კურსის რიგით მეორე თეორიული დღე ჰქონდათ. ტრენერებმა მათ უამბეს სამოქალაქო მომზადების და სხვადასხვა ექსტრემალური პირობების დროს მოქცევის წესების შესახებ. ამასთან, მათ ასწავლეს სტიქიური მოვლენების, ტერაქტების თუ სხვა შემთხვევების დროს თავის დაცვა და სპეციალური მომზადება.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/g09uro

- **ახალგაზრდული კონგრესი ბათუმში**

10 სექტემბერს ქალაქ ბათუმში "ახალგაზრდული კონგრესი" გაიმართა. კონგრესის ფარგლებში ახალგაზრდები გაეცნენ "სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026"-ის მიზნებსა და პრიორიტეტებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://rb.gy/rsz8rn

- **ვარდისფერი ოქტომბერი**

თბილისის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის მიზნით საერთაშორისო კამპანიის „ვარდისფერი ოქტომბერი" ფარგელებში, ლისის ტბის ტერიტორიაზე გარბენი მოეწყო, რომელიც „ევროპა დონა საქართველოს" და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით განხორციელდა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/31YSAB

- **ვარდისფერი ოქტომბერი**

  ძუძუს კიბოს ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო კამპანიის ,,ვარდისფერი ოქტომბერი'' ფარგლებში, ფსიქოლოგ ზურა მხეიძესთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის თემას წარმოადგენდა, ის თუ როგორ დავძლიოთ დიაგნოზის შიში და რა მნიშვნელობა აქვს ადრეულ სკრინინგს ადამიანთა ჯანმრთელობისთვის, როგორ უნდა მივმართოთ გონება პოზიტიური აზროვნებისკენ.

  დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ელ. ბმულს: https://is.gd/u321fB

8. დამატებითი ინფორმაცია

8.1 საქმიანობის გაშუქება

საკრებულოს იმ კომისიებისა და საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ, რომელთა საქმიანობაშიც ჩართული არის ანა კაკაბაძე, ყველა ინფორმაცია ქვეყნდება მის მიერვე მართულ სოციალურ ქსელებში (ოფიციალურ ,,Facebook" გვერდზე). გარდა ამისა, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის ამა თუ იმ ფორმით გაშუქებას. ასევე, მისი განცხადებები პერიოდულად შუქდება სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ.